საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი
2019

25.12.2020
www.geostat.ge

25.12.2020

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი, 2019 წელი

2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 49 252.7 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი (51.2 პროცენტი), აჭარის ა.რ. (10.1 პროცენტი), იმერეთი (8.5 პროცენტი), ქვემო ქართლი (7.5 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (5.7 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2019



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გადასახადები და სუბსიდიები რეგიონების მიხედვით განაწილებულია დამატებული ღირებულების სტრუქტურის შესაბამისად.

25.12.2020

ქ. თბილისში შექმნილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (21.1 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.3 პროცენტი) და მშენებლობა (10.1 პროცენტი). აჭარის ა.რ. რეგიონისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებს მშენებლობა (19.9 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (13.9 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (10.3 პროცენტი) წარმოადგენს. იმერეთში, ქვეყნის დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით მესამე რეგიონში, დიდი წილი უკავია დამამუშავებელი მრეწველობას (13.2 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას (12.4 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (12.0 პროცენტი). ქვემო ქართლის მშპ-ში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა (22.8 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (17.6 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (7.1 პროცენტი).

მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

რეგიონები	2018	2019
თბილისი	20 063.7	22 077.4
აჭარის ა.რ.	3 491.5	4 377.1
გურია	651.3	723.6
იმერეთი	3 587.2	3 654.7
კახეთი	2 017.6	2 187.6
მცხეთა-მთიანეთი	932.3	1 040.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	214.0	261.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 067.6	2 466.1
სამცხე-ჯავახეთი	1 200.2	1 422.5
ქვემო ქართლი	3 039.6	3 227.9
შიდა ქართლი	1 513.6	1 698.3
მშპ საბაზისო ფასებში	**38 778.5**	**43 137.8**
გადასახადები პროდუქციაზე	6 031.2	6 348.3
სუბსიდიები პროდუქციაზე	210.3	233.4
მშპ საბაზრო ფასებში	**44 599.3**	**49 252.7**

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ლევან ქარსაულიძე,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: Lkarsaulidze@geostat.ge;

მარიამ ყაველაშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge;